

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #
(CPV – 15800000)**

ქ.თბილისი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი _____ სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15^ა მე-3 სართული და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი _____ იურიდიული მისამართი: _____

1. შემსყიდველმა გამოაცხადა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT -----) შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატის საჭიროებისათვის პურ-ფუნთუშეულის შესყიდვაზე და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი (_____) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების და მიწოდებული საქონლის რაოდენობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან მათ შორის ხელშეკრულების დანართ №1-თან შესაბამისობის დადგენა, შუალედური და საბოლოო ინსპექტირების დასკვნების შედგენა და შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური/ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის შესაბამისი თავშესაფრის ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულების დანართში №1-ით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

4.2 საქონლის მიწოდების ყოველი კალენდარული დღის მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობის, რაოდენობის და მიწოდების თარიღის მითითებით ადგენს და მიწოდების თარიღამდე ერთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ხელზე გადასცემს, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უგზავნის მიმწოდებელს შემსყიდველის შესაბამისი თავშესაფრის ხელმძღვანელი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.2 პუნქტის საფუძველზე შედგენილი საქონლის მიწოდების მოთხოვნის შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თარიღში და პირობებით, მათ შორის 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნაში მითითებულ იმავე დღის განმავლობაში უზრუნველყოს მოთხოვნით გათვალისწინებული შესაბამისი საქონლის შემსყიდველისთვის მიწოდება. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი, შემსყიდველის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღარ განხორციელდება საქონლის მიღება და შემსყიდველს უფლება აქვს შეამციროს ხელშეკრულების ღირებულება მიუღებელი საქონლის ღირებულების პროპორციულად. მიმწოდებელს ასევე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4 საქონლის ყოველდღიური მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება პურის შემთხვევაში 300 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.

4.5 საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2 საქონლის მიღებისას სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების მ.შ დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და ადგენს შესაბამის შუალედურ ინსპექტირების დასკვნას.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მათ შორის დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის

საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მათ შორის დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი/არაჯეროვანი შესრულება და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.3. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის ან მისი ნაწილის მიღება, გამოიყენება 4.3. პუნქტით გათვალისწინებული წესი.

5.5 მიმწოდებელმა საანგარიშო კალენდარული თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს სსიპ „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი შუალედური და საბოლოო ინსპექტირების დასკვნები, ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მოთხოვნები, საანგარიშო კალენდარული თვის განმავლობაში მიწოდებული საქონლის შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშგაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).

5.6 ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15^ბ, სსიპ „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნადლო ანგარიშსწორების ფორმით, საანგარიშო კალენდარული თვის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშგაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. 2019 წლის დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია 2019 წლის 10 დეკემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების შესაბამისი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს მინიმუმ 2020 წლის 3 მარტი.

6.5. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ მიღებული საქონლის ღირებულება ნაკლებია წინასწარ, ავანს(ებ)ის სახით გადახდილ თანხაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტი(ებ)ის გამცემ ორგანოს (გარანტს) სხვაობით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3 უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა იმავე დღეს;

7.1.4 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5 2019 წლის 10 დეკემბრამდე წარმოადგინოს დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების შესაბამისი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს მინიმუმ 2020 წლის 3 მარტი;

7.1.6. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის, რაოდენობის და მიწოდების ვადის კონტროლი;

8.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო ნაკლოვანი საქონლის/არაჯეროვანი შესრულების მიღებაზე;

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და

რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულების, მ.შ. დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1), გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიუწოდებლობის ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს ოდენობით, დარღვევის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

13.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ხელშეკრულების 13.3. პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებისას.

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ----- ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან.

შემსყიდველი~

სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა

და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

ქ. თბილისი თამარაშვილის ქ. 15ა

სახელმწიფო ხაზინა

კოდი #TRESGE22

ა/ა # GE24NB0330100200165022

ს/კ # 205169592

მიმწოდებელი~
